სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

23 მაისი 2024

GOV N 1042/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადაცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ჩამორთმეული მერქნული რესურსის III და IV ხარისხის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის მრგვალი ხეტყის (მორის)–სულ- 51,30 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N356) გამოცხადების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 249-ე მუხლის 2^2 ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29^1 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 თებერვლის დასკვნის N001002924, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხეტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების და სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2024 წლის 20 მაისის N8291/07 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N356 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ჩამორთმეული და სააგენტოსათვის გადმოცემული, ბაკურიანის სატყეო უბანი, წაღვერის სატყეო, საწყობი 004-000-000033-ში დასაწყობებული 51,30 მ3 წიწვოვანი სახეობის (ნაძვი, სოჭი და ფიჭვი) III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხეტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო